ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N40

2016 წლის 4 აპრილი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლისათვის დავით ხახუტაიშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლას მიენიჭოს აკადემიკოს დავით ხახუტაიშვილის სახელი;

2. ქობულეთის რესურსცენტრმა უზრუნველყოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლაზე აკადემიკოს დავით ხახუტაიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ი.ხაჯიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე